ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6886551

ნომერი: AR11013291

თარიღი : 31.01.2024

გაცემის თარიღი : 14.02.2024

გაცნობის თარიღი : 15.02.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 5დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 31 იანვრის AR11013291 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, N 01.14.05.006.124 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

ვინაიდან ს/კ N 01.14.05.006.124 რეგისტრირებულ ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს ზონისთვის დადგენილ განაშენიანების რეგულირების პარამეტრებს. ასევე არსებული შენობით გადაჭარბებულია კ-1 კოეფიციენტი. ხოლო, კ-3 კოეფიციენტი ზონაში დაშვებულ მინიმუმზე ნაკლებია. აღნიშნული საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, რისთვისაც საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს, ოფიციალურ პორტალზე ms.gov.ge -ზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 2024 წლის 31 იანვრის AR11013291 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, N 01.14.05.006.124 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.